სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტო

23 / აპრილი / 2025 წ.

KARR0158998787725

№ **1-1/25**

ბრძანება

ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ტბის ტერიტორიაზე №64.25.05.547 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მომსახურების ობიექტების კომპლექსის მშენებლობისათვის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირების და დავალების გაცემის თაობაზე

სსიპ-სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს 2025 წლის 1 აპრილის № 476/09 განცხადებით მომართა რევაზ კალაძემ (შემდგომში: დაინტერესებული პირი) და მოითხოვა სოფელი ტბის ტერიტორიაზე მდებარე №64.25.05.547 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მომსახურების ობიექტების კომპლექსის მშენებლობისათვის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების შესაძლებლობის განხილვა და შესაბამისი დავალების გაცემა.

დაინტერესებაში არსებული № 64.25.05.547 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი მდებარეობს სოფელი ტბის ტერიტორიის საზღვრებში, დაბა ბაკურიანის საზღვრიდან 430 მეტრის მოშორებით. წარმოდგენილი პროექტით იგეგმება ტერიტორიის საზოგადოებრივი დანიშნულების ფუნქციით განვითარება. კერძოდ ტერიტორიაზე დაგეგმილია ბენზინგასამართის, გაზგასამართის, ავტოსერვისის, სწრაფი კვების ობიექტის, საოფისე ფართებისა და სავაჭრო ობიექტების მშენებლობა.

საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 36-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 47- ე მუხლის მე-2 ნაწილის, „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის N260 დადგენილებით დამტკიცებული სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. მიღებულ იქნას დადებითი გადაწყვეტილება კერძო ინიციატივის საფუძველზე, ამ ბრძანების დანართი № 1-ით განსაზღვრული გეგმარებითი ერთეულისთვის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების თაობაზე, ამავე ბრძანების დანართი № 2-ით გათვალისწინებული განაშენიანების დეტალური გეგმის დავალების შესაბამისად;

2. გაფორმებულ იქნეს შესაბამისი ადმინისტრაციული ხელშეკრულება დაინტერესებულ პირთან, ამ ბრძანებით დადგენილი პირობების გათვალისწინებით;

3. განაშენიანების დეტალური გეგმის პროექტი შემუშავებულ უნდა იქნას ამ ბრძანების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების გაფორმებიდან 12 (თორმეტი) თვის ვადაში;

4. ამ ბრძანების მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში განაშენიანების დეტალური გეგმის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, ბრძანება და ხელშეკრულება ჩაითვალოს ძალადაკარგულად;

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

6. ბრძანება შესაძლებელია გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი № 64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.